

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

სტუ-ში 2008 წლის 27-28 ივნისს ჩატარდება პროფესორების კონსტანტინე კამკამიძისა და ილია მიქაძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი და საინჟინრო, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყებიდან 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ინფორმაციული ტექნოლოგიები 2008”.

კონფერენციის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებებია:

1. მართვის თეორია და სისტემები;
2. მოდელირება;
3. დაცვის სისტემები;
4. გარემოს დაცვა;
5. კომპიუტერული ინჟინერია;
6. კომპიუტერული მეცნიერებები;
7. ბიოინფორმაციული ინფორმატიკა.

კონფერენციის ოფიციალური სამუშაო ენებია ინგლისური, ქართული და რუსული.

კონფერენციის მონაწილეებს პროგრამა და მოხსენებათა კრებული დაურიგდებათ რეგისტრაციის დროს.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა სასურველია შეავსონ თანდართული სარეგისტრაციო ბარათი, რომელიც წარმოსადგენია საორგანიზაციო კომიტეტში 2008 წლის 5 მაისამდე.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებისათვის დაწესებულია საორგანიზაციო გადასახადი: ადგილობრივი მონაწილეებისათვის 10 ამერიკული დოლარის ეკვივალენტური თანხა ლარებში, ხოლო უცხოელი მონაწილეებისათვის – 100 ამერიკული დოლარი.

თანხა უნდა შემოიტანოთ შემდეგ ანგარიშზე:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ანგ. № 3408001 / GEL

ბანკის კოდი 220101830

“თი-ბი-სი” ბანკი

საიდენტიფიკაციო კოდი

211349192

მიუთითეთ: მონაწილის გვარი, სახელი

კონფერენციისთვის “ინფორმაციული ტექნოლოგიები 2008” ფაკულტეტი 258

ტექსტური დოკუმენტების გაფორმების მოთხოვნები

თქვენი ნაშრომის კონფერენციის კრებულში განთავსებისათვის აუცილებელია 2008 წლის 5 მაისამდე საორგანიზაციო კომიტეტში გამოგზავნოთ მოხსენების თეზისები, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის 1,5 გვერდს. კონფერენციის პროგრამაში მოხსენების ჩართვის შემთხვევაში მისი სრული ტექსტი, რომლის მოცულობა არ იქნება A4 ფორმატის 6

გვერდზე მეტი ცხრილების, ნახაზების, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და რეზიუმეს ჩათვლით, წარმოადგინეთ საორგანიზაციო კომიტეტში 2008 წლის 30 მაისამდე.

მოსხენების თეზისები და სრული ტექსტი შესრულებული უნდა იქნეს ინგლისურ, ქართულ ან რუსულ ენაზე **WSWord**-ის ტექსტური რედაქტორის საშუალებით (ვერსია 97 და ზემოთ) შემდეგი პარამეტრების დაცვით: ქაღალდის ფორმატი - A4 (210x297); მინდვრები: ზემოდან, ქვემოდან, მარცხნიდან, მარჯვნიდან - 20 მმ; შრიფტი - **AcadNusx** (ქართული ტექსტისთვის), **Times New Roman** (რუსული და ინგლისური ტექსტებისთვის); შრიფტის ზომა - 10; წითელი ხაზი - 5 მმ; სტრიქონებს შორის ინტერვალი - ერთმაგი.

პირველი გვერდის ზედა ნაწილში იბეჭდება თეზისების (მოსხენების) დასახელება, რომელიც უნდა განთავსდეს ცენტრში. ქვემოთ ერთი სტრიქონის გამოტოვებით, ასევე ცენტრში, იბეჭდება ავტორის (ავტორების) ინიციალები და გვარი. შემდეგ სტრიქონზე, ასევე ცენტრში - ქალაქი, ორგანიზაცია და მისი მისამართი, ხოლო ერთი სტრიქონის გამოტოვებით, ფურცლის მთელ სიგანეზე - თეზისების (მოსხენების) სრული ტექსტი. მოსხენების ტექსტს საჭიროა ბოლოში თან დაერთოს, აგრეთვე, კონფერენციის სამივე სამუშაო ენაზე შესრულებული რეზიუმე. ტექსტის დაარქივების შემთხვევაში სასურველია გამოიყენოთ "rar" არქივატორი.

მოსხენების თეზისები შეიძლება გამოგზავნოთ საორგანიზაციო კომიტეტის მისამართზე კავშირის ნებისმიერი საშუალებით, ხოლო მოსხენების სრული ტექსტის ერთი ნაბეჭდი ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია წარმოადგინოთ საორგანიზაციო კომიტეტში 2008 წლის 30 მაისამდე.

საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამეცნიერო კონფერენცია “ინფორმაციული ტექნოლოგიები 2008.”

0175, თბილისი, კოსტავას ქ. 77.

ტელ.: (+995 32) 36 52 80, (+995 32) 37 13 19, (+995 99) 14 20 80.

ფაქსი: (+995 32) 36 52 80.

ელ-ფოსტა: t.kaishauri@gtu.ge

სარეგისტრაციო ბარათი

გვარი _____

სახელი _____

ორგანიზაცია _____

საფოსტო მისამართი _____

ტელეფონი _____

ფაქსი _____

ელ-ფოსტა _____

მოსხენების დასახელება _____
